ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7385924

ნომერი: AR11077749

თარიღი : 13.02.2025

გაცემის თარიღი : 20.02.2025

გაცნობის თარიღი : 20.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთავარანგელოზი (ყოფ. რობესპიერი), N 24/7 ; ქალაქი თბილისი , გურჯაანის ჩიხი/მახათის ქუჩა N5/5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ კასრაძე პ/ნ 01019085889
- თბილისი გიორგი ჩუბინაშვილის ქ. N 25 ბ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 13

თებერვალს №AR11077749 განცხადებით მომართა ნიკოლოზ კასრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებით №01.17.01.047.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი. ხოლო, 2025 წლის 06 თებერვლის №7370634 ბრძანებით ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის წლის 6 თებერვლიდან 2027 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობად 226.0 კვ.მ-ის ნაცვლად 225.5 კვ.მ-ის, ხოლო დამხმარე ფართობად 7 კვ.მ-ის ნაცვლად 25.30 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, წარმოდგენილი -4.80 ნიშნულის არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი -4.80 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული -4.80 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმაზე ექსპლიკაციის დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს 1596.35 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობად დაფიქსირდეს 225.50 კვ.მ., დამხმარე ფართობად 25.30 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1596.35 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებით შეთანხმებული -4.80 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 03 დეკემბრის №7307350 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.